აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
ACADEMIC BOARD OF AKAKI
TSERETELI STATE UNIVERSITY

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

18 აპრილი, 2013

დადგენილება №94 (12/13)
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2007 წლის 5 სექტემბრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2007 წლის 5 სექტემბრის №1 დადგენილების მე-10 მუხლს დაემატოს პუნქტი:

10.8. თუკი სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას გამოიკვეთა ისეთი ახალი სამეცნიერო ასპექტები, რომელთა გადაჭრის პროცესში საჭიროა მონაწილეობდეს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილების მქონე სხვა პირი, მაშინ ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს არგუმენტირებული მოთხოვნის საფუძველზე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით მეორე ან მესამე წლის დოქტორანტს შეიძლება დაენიშნოს თანახელმძღვანელი. თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს სადისერტაციო საბჭოს წევრი, რომელსაც სადისერტაციო ნაშრომის მიმართულებით ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 3 ნაშრომისა მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში. დამატებით პირობებს თანახელმძღვანელის მიმართ, ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში, ადგენს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

აკადემიური საბჭოს

თავმჯდომარე, რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე